№ 18 კვირა, 6 ივლისი. | ერთი წლით ჟურნალი ღირს 2 მ. 50 კ., ნახევარი წლით 1 მ. 25 კ. წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Мухранская 12, для журнала „ЛАХТИ“. | ფასი 5 კაპ. № 18

ტფ. ყასბების სიხარული ხორცის ნიხრის გაუქმების გამო.

გავმხიარულდეთ ყასბებო
მოისპო „ტაქსა“ ნიხრია,
აღსრულდა ჩვენი წადილი
დიდიხნის ნატვრა ფიქრია.

აწ როგორცა გვსურს გავყიდოთ
მჭლე ხორცი მამასისხლათა,
ღმერთმა გვიცოცხლოს „ეპრავა“
ჩვენთვის რომ ზრუნავს დიდათა!..

გაატიალა?!!

დიდხანს დავძრწოდი ცის სივრცეში ტანჯულ-გვემული.
და ჩემი ბედის ორეოფობა მიკლავდა სულსა,
დიდხან დავძრწოდი ვით დევნილი ამაყი სული,
სული, რომელიც გაეტაცნა ცის სიყვარულსა.

—

მწარე წარსულის მოსაგონათ, გაკხედე მხარეს,
მხარეს, რომელმაც მე მარგუნა სიმწრის ფიალა.
„ოდესღაც“ ხმიანს ეხლა კი სევდით მდუმარეს,
მას,—რომლის კერპმაც, ჩემი რწმენა გაატიალა.

—

გაატიალა?!! არა! მხოლოდ მწარეთ დაჩაგრა,
ჟამი წინ უდევს, ჯერ შორს არის—გაატიალოს,
ჯერ დღის სინათლეს მიმავალსა ჩავჭიდო მაგრა,
,,ბოროტი კაცი, დღის სინათლეს ვერ დაემალოს“-

ლადო.

ხომ აღსრულდა...

(ესკიზი.)

მას შემდეგ კიდევ გნახე... მაგრამ თავდახრილი, ჩაფიქრებული... მთელი შენი არსება სევდით და ოხვრით იყო გარემოცული...

ისინი, ვინც წინეთ ერთმანეთის ნახვით ვსტკბებოდით და ვხარობდით, დღეს ერთმანეთს მწუხარების ალში გახვეულნი შევხვდით...

გახსოვს, ჩემო კარგო, უკანასკნელი საღამო განშორებისა, როდესაც მზე ვებერთელა ცეცხლის რგოლივით ნაზათ ეშვებოდა თვალუწვდენელი მთვლემავ ზღვის სივრცეში და ოქროს ფერ სხივებს უკანასკნელად უგზავნიდა სამყაროს.

გაზაფხულის მომხიბლავი ღამის წყვდიადი ნელა ეპარებოდა არე-მარეს და შეყვარებულივით გულში იკრავდა, მალხაზ ბუნებას საიდუმლოებით აღსავსე სავანეში ჰხვევდა.

ცის ლურჯ თაღზე ციმციმებდნენ ვარსკვლავები და ღიმილით დაჰყურებდნენ დუმილითა და მყუდროებით მოცულ ბუნებას... იმ საღამოს უკანასკნელად გეთხოვებოდი...

შენ აქვითინდი... ღამის სიბნელე მოელვარე გრძნეული თვალთა სიღრმიდან გამოკრთა კენტად შობილი მდუღარე ცრემლების ცვანი და მძლავრ ნაკადულად დაეშვა შენს ნარნარ ლაწვებზე... გულზე თავი მომაყრდნე და ორივე მწარეთ ვსტიროდით...

ვსტიროდით ისე, როგორც დასტირის მშობელი დედა თავის ძვირფას შვილს, როდესაც ცივ საფლავს აბარებს...

ვსტიროდით ისე, როგორც სტირის ჭეშმარიტი მამულიშვილი, როდესაც თავის საყვარელ გულის სატრფოს შეგინებულსა და მანდილ ახდილსა ხედავს...

მძლავრი იყო ჩემი სევდა, საშინელი იყო ჩემი სულის მდგომარეობა... გული ამიტირდა...

შენსკენ წავიწიე, მაგრად მოგკიდე ხელი, და გულში ჩაგიკარ მტირალი არსება...

მე კი, ჩემო მშვენიერო, გზა იდუმალი გულს მიწყლულებდა, შიშის ზარს მგვრიდა...

განვლო დრომ... მრისხანე ცამ დათრთვილა მიწა, დათრთვილა მსოფლიო, თეთრ ნისლთა გროვა ცამდი ამართული მთის მწვერვალებს გაეკრა და...

მივხვდი, მივხვდი, რომ ამის შემდეგ მიღალატებდი, უარმყოფდი...

ვგრძნობდი, რომ შენს უმანკო ფიცის საზღვარს ვადახვიდოდი... ხომ აგისრულდა... დიახ, აღსრულდა ჩემი წინასწარმეტყველება... გაჰქრა განცდილი ნეტარება და ჩამოწვა შემზარავი წყვდიადი, რომელმაც გლოვის ზეწარი გადააფარა ცის გულ-მკერდს, რწმენის ახლად გაშლილი თაიგული დააჭკნო, იმედი დაასამარა, ჩაჰფერფლა და სიმბოლო სპეტაკი, უმანკო სიყვარულისა გოლგოთის შავ ჩრდილად აქცია... ფრთა შეეკვეცა ჩემს ალმაფრენას... სევდამ დაიპყრო გული ჩემი...

წარმტაცე გულის შვება, სიხარული, მაგრამ ვის მოჰგვარე ბედნიერება, ვის არსებაში ჩაექსოვე?

დაჭკნე ჩემი სპეტაკი სიყვარულის თაიგული, მაგრამ ვის გულში ააყვავე ახალი თაიგული სიყვარულისა?..

მაგრამ შენ ხომ ძლიერი ხარ, რაც გსურდა, ის ჩაიდინე, შენი ნებით აასრულე სურვილი და მისწრაფება შენი... სხვა და სხვა სახე მიეცი ტრფობას, სიყვარულს... რადგანაც... ხომ იცი, რომ ცხოვრება ჩვენი ცვალებადია და მის ცვალებად გრძნობას შენც მიჰყევ...

მე კი ჩემს ვაებას, სევდა-კაეშანს ისევ ჩემში ჩავმარხავ, ჩავასამარებ!

მ. ანაშვილი.

პროტესტები

ვინ ღვთის პირიდან გავარდნილმა მოიგონა „პროტესტი“ არც კაი, არც ავი, არც საერთო, არც უერთო, არც სწავლული, არც უსწავლელი, არც ქმარი და არც ცოლი, დღეს უპროტესტოთ ბიჯსაც აღარ დგამს. გაზეთი?!..პროტესტი და პროტესტიო გაიძახის, ისე გახშირდა და ისე შეეჩვია ხალხი ამ ოჯახქორ პროტესტს, რომ ვერსად ვერ დაემალები.

სახლში ხარ გძინავს შენთვის არხეინად, თუ ვინიცობაა ბაღლინჯოს, ან რწყილისგან შენაკბენმა ცოტა შეშოშმანდი და გვერდი იბრუნე, ამ დროს ერთი ლაზათიანად მოგხვდება გულბოყვში შენი კნეინას წიხლები, უდროვო დროს გადაბრუნებისთვის სასტიკი „პროტესტი, პროტესტიო“ მოგაჩხავლებს და შენც ხმა უნდა გაიკმინდო.

იქნებ მოგშივდა და შენს ნაცნობ მუშას სთხოვ, ემუდარები, ან მაჭამე, ან დროებით დამიშვი სამუშევრად, რომ შიმშილმა მეორე ქვეყნისკენ არ ამბარგოსო. შენ შტეიბეხერი ხარ, პროტესტი, ზიზღი, სასტიკი ზიზღი და პროტესტი, რომ შენ მოგშივდა.

ან და ჭუჭყიანი პერანგი გამოიცვალე უფრო სუფთა ჩაიცვი, ზიზღი და პროტესტი! ვინაიდგან შენ გაიშორე ჭუჭყი ესე ქვეყნისა.

მართლა და ერთ მიმართულების გაზეთს თავი დაანებე და მეორეში წერილი მოათავსე— შენ მოღალატე ხარ, რენეგანტი, პროტესტი სასტიკი პროტესტი და ზიზღი. რადგანაც შენ პრესის დანიშნულება უარყავი.

მაშ ასე შენც პროტესტი, მეც პროტესტი და ასე დაუსრულებლად ვიპროტესტოთ.

ონ-კანი.

იმერული სცენა

ოი, ღვთის მშობლის და წმინდა ძრიელი ლომის კარელის მადლმა მოსტეხოს კისერი, ვინცლამ თავდა პირველად აი რაცხა კლუბი ყოფილა თუ მისი ამოგდება მეიგონა. პირდაპირ ჩემდა საწვალებლად გააკეთეს მაგ შეჩვენებულებმა. ყველას კი გუუკვირდება აი ჩემი ნაბოდვები, მაგრამ იმსთანაი ყაძახი ვარ, რომ ჩემი იყოს თუ გინდა სხვისი დამალვა არ შემიძლია. აია ჩემი დამფშუკველი და ჩემი დასაფსები, რუმ თელი დუნია და მელექეთი ჩემს გინების მეტს არაფელს არ აკეთებენ. ძალუვანი კარგად ვიცი სიმართლის მთქმელს რა მოელის, მაგრამ აი ხასიათი ვერ მევიშალე და მუდამ სიმართლის თქმა მინდა და მსურს.

ერთ საღამოს აი ჩემი პირის მზე და ამშენებელი იმისთანა გუნებაზე დადგა რუმ მეტი არ შეიძლება. ვიფიქრე იმიზა თუა გახარებული რუმ ნათესავი ციცაი გვესტუმრა მეთქინ და სულ უცოდვილო ვიფიქრე კაკალ გუნებაში, ოვეში ორჯერ ჩამევიყვან მეთქი. ბრეულს კი ეუცხოვება ჩემი სიტყვები მარა, მე სიმართლეს მოგახსენებთ, რუმ ეს მეორე მარგალიტი არის ათის წლის გამოვლობაში, რუმ პირ მომკინარეს ვხედავ და ძალუანი მესიამოვნა გეფიცებით სამტრედიის ნარდ-კარტის მოთამაშე მოყიალე ინტელიგენტებს და აქაურ ზოგიერთ დუნდრუც, დუნდრუც აშარია დედაკაცების ჭორიკანობას. დასწყევლოს ღმერთმა მაგენის თავი, ხოდა იმას ვამბობდი მესიამუნა მეთქი. საქმე სულ სხვაში ყოფილა „სემენი ვეჩერს“ უძახიან თუ რაცხა მის ამოგდებას, ის გუუგია ამელამ არისო და იმიზა იყო კარგ ხასიათზე გეირბინა რამოდენიმე ხანმა და დამიწყო ჭურღული. აბა ვარს რავა ვეტყოდი. ეგება ეშველოს და აწი ამისანა ხასიათზე დადგება მეთქი და თანახმა გუუხთი. წასვლის დროს კი ჩუუფუჩუნე ყურში ნუ დაგვიანდები და თორმეტ საათზე მოდი მეთქი. იგი რუმ მცოდნებოდა რაც მე მომელოდა იმ ღამეს, რავა ძაღლი შემჭამდა და გუუშობდი. ერთი ბაღანაი ერთ ოთახში დამიტია დაწვენილი და მიორე, მიორე ოთახში. მეხმარა ბიჭობა და ორივე ერთათ დამეწვინა კაი იყო მარა გაღვიძების შემეშინა და ქე მივანებე თავი. ვიყურყუტე, ვიყურყუტე და ამ ყურყუტში ქე ამომებრიცა თვალები. ვიფიქრე კაკალი გულში დავწობი მეთქი და ქე გეიშვლიპე ტანზე. ცოტა რუმ მიმეღულა თვალი, რაცხამ ხეთქა მუადინა პოლზე და მორთო ბღორინი გამუარდი წინა ოთახში, დუუწყე ფერება, მაგრამ შენც არ მომიკვტე ვერ გავაჩერე. რავარცხა იყო დეიღალა და დეიძინა, იმის დაძინება და მიორე ოთახში ხეთქა ერთი იყო. ვშვლიპე თავი შიდ და ევიყვანე ზეით, თორმე სული შეგუბებოდა ბაღანეს და კინაღამ გამოხჩობილიყო. რავაც კი მეითქვა სული თვარა დეიწყო მარა რა დეიწყო, ბრევლი ვიწვალე და რავაცხა იყო მივაძინე. გეირბინა პატარა ხანმა, დედა მწულიაო დეიძახა, დუუწვრილე ხმას კი დედა მეთქი და დავალევიე. საინთელი ჩაქრობილი მქონდა თვარა რავა მუატყუებდი, მარა მაინც გამიგო ჩემი ეშმაკობა, დამიწყო გულში ხელების ფათური და ძუძვების ძებნა, თორმე იმ ჩემ პირის მზეს ასე ყოლებოდა მიჩვეული, მარა ამით მაინც ვერ მიხვთა. რაცხა ჩემდა საუბედუროთ მისკენ მიმაბრუნებია თავი და ქი არ წამავლო ულაშებში ხელი. ვერც ხმის დაწვრილებამ მიშველა და ვერც ხვეწნა-მუდარამ. გავცოფთი კაკალი კაცი და გავსკტი კუჭზე, მარა ბაღანეზა რა უნდა მექნა, როცა მე ვიყავი დანაშაული. ამ გასაჩხიკინებულის ყვირილმა, მიორე ბაღანეი გამომიღვიძა და ატყუტა ერთი ალიაქოთი. მიორე ოთახში იმან დეიწყო ბოდიალი და სტოლი წააქცია, სტოლზე მამასისხლათ ნაყიდი ლამპა მედგა და სორომ გორომოთ გამიხადა, ამან ვარესად შეაშინა ორივე და ატყდა წივილ-კივილ-ბღორინი. სამტრედიის პარასკეობის დღე ვერ შეედრებოდა ჩემ ოთახს იმ ღამეს, რავაცხა იყო მივაგენი სფიჩქას და უკიღე ლამპას ჩავხედე საათში და კაკალი სამი საათი იყო, გადავწყვიტე კაკალ გუნებაში თუ ჩევიგდე იგი ჩემი პირის მზე ხელში, მის თავს ქაჯები ვერ გამომართმევს მეთქი. ამ ფიქრებში რუმ ვარ, ქი მუუკაკუნა კარზე ხელი, გავაღე კარი თვარა შემევიდა სიცილ კისკისით, დემიწყო ჭურღული, იგიც ქი მომაგონდა მე ცოვილის შვილს კვირაობით რუმ მჭირდებოდა ხვეწნა და სიცილში ყოლიფერი ამოვიკითხე. აი ჩემ გულის მოსვლა ქი არ მიმავიწყა იქით.

კოდარა.

ბამოცანა
(მიხაილოვისთვის)

ტანად დიდი ვარ, ჭკუით პატარა,
წელზე მკიდია ჭორის მათარა,
ქალებთანა ვარ, სწრაფი მასხარა,
უნდა ავიღო მათგან ბეგარა.

ველარ მიცანი?!. რკინის გზაში ვარ!
საერთო საქმეს ველარ ვარგივარ,
თავისუფალ დროს სურამს მივდივარ,
სადაც კარტია მეც იქ მივრბივარ.

ეხლაც ვერ მიცან?! დანოსი გახსოვს
დეპოში მუშებს მუდამ, რომ ახჩობს
ჰოო! სწორედ ისა ვარ გამოიცანი
რომ მივითვისე სხვისი ბატკანი.

მ—ლოვი.

„სამარადისო“

I

როცა ოლიამ პირველად მიაშტერა თავის სიცოცხლის მგვრელი თვალები კოლიას, მაშინ იმან ვაჟის თვალებში მხოლოდ ერთი სიტყვა „სამარადისო“ ამოიკითხა.

ქალ-ვაჟის თვალები ერთი მეორეს უსიტყვოთ ეჩურჩულებოდნენ და „სამარადისოს“ ხმაზე სიყვარულის ჰანგებს უგალობდნენ. მათი ზღვათ ქცეული გული „სამარადისოს“ ნავმა შეაერთა და ორთავეს სიყვარულის ზღუდესკენ მიაქანებდა..

II

...კოლიას გაუწყდა სიცოცხლის ძაფი. მისმა თვალებმა უკანასკნელად შეხედეს ოლიას და უკანასკნელად მოაგონეს სიტყვა „სამარადისო“. მისი ზღვათ-ქცეული გული დაყუჩდა და „სამარადისოს“ ნავი სიკვდილის ნავთსაყუდელს მიეყრდნო.

ოლია კი სდუმდა.

უსიტყვოდ იტანჯებოდა. ბოლოს მისს თვალებიდან ერთი სამარადისო ცრემლი გადმოვარდა და კოლიას სამარადისოდ დახუჭულ თვალებს დაეფრქვა...

კოლია მიწას მიაბარეს.

III

კოლიას საფლავს ათასფეროვანი ყვავილები ამშვენებდნენ.

ტრფობით ანათრთოლი ბულბული ყოველ დღე ესტუმრებოდა კოლიას საფლავს და სამარადისოს ხმაზედ ამ სოფლის სიყვარულის ჰიმნს უგალობდა.

ოლიაც ყოველ დღე მიდიოდა და სასაფლაოს სამარადისოდ ასაყვავებლად ყვავილებს ეზიდებოდა და თან გულში ინახამდა უკანასკნელ კოლიას თვალების გამოსახულ სიტყვას „სამარადისოს“.

მიშა ვეშაპიძე.

დ ა ს ჯ ი ლ ი

ᲬᲕᲘᲛᲘᲡ ᲬᲘᲜ

ჩამობნელდა... ლაჟვარდ ცასა გადაეკრა ღრუბელთ ჯარი,
ჩამობნელდა და დადუმდა მთლად მსოფლიო—მთა და ბარი.
სდუმს ბუნება, ჩემს ეზოში თავდახრილი სდგას ჭადარი,
მხოლოდ ტყეში, ყრუდ გაისმის ავსულების ხმა საზარი.
სდუმს ბუნება, მხოლოდ ცაში, ცეცხლის ხაზი ცეცხლის ხმალი
გულს უსერავს უძირო ტბებს, ცის შავ ზეწრით გამომკრთალი.
უსხივცხოვლო ვარდთ ემბაზი სჭკნება, სჭკნება ფერ-შემკრთალი
სჭკნება ტკბილი მოგონება და გრძნობები ჯერ ახალი.

სდუმს ბუნება, ჩემს ეზოში თავდახრილი სდგას ჭადარი,
ცის სივრცეში ყრუთ გაისმის ავსულების ხმა საზარი
სდუმს ბუნება, მხოლოდ ცაში, ცეცხლის ხაზი, ცეცხლის ხმალი
გულს უსერავს უძირო ტბებს შავ მანტიით გამომკრთალი.

ამური.

სურათები

ვეჭილი კოტე ქანქარაძე რბილად იჯდა სავარძელში და თავის წინ მაგიდაზე დალაგებულ სხვა და სხვა ქართულ ჟურნალ-გაზეთებს ზარმაცად ფურცლავდა, უხალისოდ ათვალიერებდა, თან შუბლზე ხელს იდებდა და თავისთვის რაღაცას ბუტბუტებდა, ეშმაკურად იღიმებოდა, თვალის ქუთუთოებს ათამაშებდა, ხან კი ერთბაშად შუბლს შეიჭმუხვნიდა, მოიქუშებოდა და მკაცრ გამომეტყველებას მიიღებდა.

— ოჰო, კიდევ ლანძღვა და გინება! რას არ შეხვდება მკითხველი ჩვენს გაზეთებში?!. თუ ერთი ფეხი გადაგიბრუნდა ხალხის თვალში მაშინვე ქვა და ლოდს მოგაყრიან რაც გინდა ცამდის მართლი იყვე! ვინ იცის რა სახელით არ მოგნათლავენ: ხულიგანი, შოვინისტი, შავრაზმელი, პურიშკევიჩი, ცრუ პატრიოტი და კიდევ ვინ მოსთვლის რამდენ რამეს გიწოდებენ. ხა, ხა, ხა, ხა!.. ნამდვილ ხულიგანის პოვნა კი დიოგენის ფარნითაც ძნელი აღმოსაჩენია. ბრმა არის ჯერ კიდევ ჩვენი ხალხის უმრავლესობა, კარგის და ავის გარჩევა არ შეუძლიათ. ახლად ფეხ-ადგმულ ბალღს წარმოადგენს, ვინც დაუყვავებს ტკბილის ენით მხსნელი ის ჰგონიათ. მას აამაღლებენ რაც უნდა დამცირებული პიროვნება იყვეს. ეს, რომ ასე არ იყვეს, განა მე ეს სახელი მექნებოდა?!.. ხა, ხა, ხა, ხა...

გადიხარხარა კოტემ და ელვის სისწრაფით გაურბინა თავში ძველმა მოგონებამ.

კოტეს გაახსენდა ის ხანა, რომელმაც მას სახელი მოუხვეჭა, ცამდის აამაღლა და უზრუნველ ჰყო ქანქრის მხრივ; გაახსენდა, თუ როგორ დაიწყო ორატორობა ხალხში ახლად იურიდიულ ფაქულტეტზე კურს დასრულებულმა, ნახევარზე მშიერ-მწყურვალმა, ახლად გამოსულმა ცხოვრების სარბიელზე.

კოტეს მართალია არც ერთი პარტია არა სწამდა და კარიერს უფრო დაეძებდა, მაგრამ იმან ძალაუნებურად იმ პარტიის „იარლიკი“ მიიკრა შუბლზე საითაც გამორჩენა დაინახა. არც მოსტყუვდა. მან დიდი სახელი მოიხვეჭა უმრავლესობის თვალში, მეტადრე მას შემდეგ, რაც რამოდენიმ პოლიტიკური დამნაშავე დაიცვა სასამართლოს წინაშე. თუ წინად პატარა კაცად ითვლებოდა და სალამსაც არავინ აღირსებდა დღეს სათაყვანებელი შეიქნა და ბუმბერაზად იქცა.

წინად თუ ერთ მივარდნილ უბრალო ოთახში იდგა, სამაგიეროდ დღეს ფუფუნებით სცხოვრობს ცოლშვილით, ელექტრონით განათებულ ევროპიულ გემოვნებაზე მოწყობილ რამდენსამე ოთახში და არ აკლდება საღამოებს, ბალებს, და კლუბში ნარდ-ბანქოს და ბაქარას თამაშსაც კი მიჰყო ხელი. აი, ეხლაც სავარძელზე მჯდარს ძილი შეეპარა, რადგან წინა ღამით ახალ კლუბში გაათენა მშვენიერ სქესთა არშიყობაში. ის იყო მისთვლიმა, რომ უცებ მოსამსახურემ კაბინეტის კარი შეაღო:

— ბატონო წერილი გახლავთ თქვენთან.—ამ სიტყვებთან კოტეს წერილი გადასცა მსახურმა. კოტემ წერილი გახსნა და გიჟურის თავ-დაავიწყებით წამოიძახა:

— იმისგან არის, ახალ კლუბში რომ გავიცანი, ჩემი მაშა, ადრესიც მივეცი წერილს მოგწერ შენთან საქმე მაქვსო. რა საქმე აქვს თუ არა სიყვარული?!. მერე რა მშვენიერი შავი თვალები აქვს, დიდრონი წარბები და წამწამები, მარჯნის ფერი ტუჩები, ბროლის გულ-მკერდი და თეთრი ქულა ნაზი-ნარნარი ხელები, იმის ერთი შეხედვა და ხელით შეხება სწორედ ბედნიერებაა კაცისთვის!.. ეხ, ეხლა მე რომ უცოლშვილო ვიყვე ძაღლი არ დაჰყეფდა ჩემს ბედს! ვინ მოიგონა ცოლშვილობა. მახეა სწორედ მახე, გაებმები თაგვივით და გასაქანი აღარ არის!.. ჩემი ცოლის შიშით ქალისათვის ველარ შემიხედნია, შვილებსაც კი გააგებინა: მამათქვენი მღალატობსო და ეჭვის თვალით მიყურებენ. არა, მე ცოლშვილობა ვერ დამაბრკოლებს, როგორც ჩემი მრწამსი მიკარნახებს ისე მოვიქცევი, ცოლი გაჭირების დროს შევირთე როდესაც უკანასკნელ კურსზე ვიყავი, მე ფული მესაჭიროებოდა მხოლოდ და არა ცოლი, ამისათვის ფული შევირთე, ფული!.. ცხოვრება ცვალებადია, ადამიანიც ცვალებადია. დღეს მხოლოდ პოლიტიკაა საჭირო, რომ ადამიანმა ლელო გაიტანოს. ჩემიხ შორსგამჭვრეტელობით ხალხში სახელი მაქვს მოხვეჭილი და საზოგადო მოღვაწეს მეძახიან. თუმც კი საზოგადო მოღვაწეობისა არაფერი მცხია. ეხლა ჩემთვის ფული ბზე არის, ბზე! აი თუ არა.—წარმოსთქვა თითქმის ხმამაღლა კოტემ და ინსტინქტიურად საწერ მაგიდის უჯრას გამოსწია აღოიღო იქ შენახული ქალალდის ფული ჩაილაგა გადაუთვლელად უბეში და ხელახლა დაშტერებით დააცქერდა წერილს.

— ის არის სწორედ ის! აბა ბოლოში ვნახო, ოჰ?!.. „შენი მაშა“!... ეჰე, რანდეოსაც მინიშნავს—წარმოსთქვა აღელვებულმა, წამოვარდა ზეზე სახე გაჭარხლებული დაიხურა ქუდი, ერთი კი შესძახა ცოლს: საღილად ნუ მელოდებით საჩქარო საქმეზე მივდივარო და გიჟივით გავარდა ქუჩაში.

პ. დვანელი.

მესტვირული

(ბოლჯოამისთვის)

საგარაკოდ მოსულნი
მოსთქვამენ თავის წყენასო:
ძალა წაიღო წვიმებმა,
არ გვაძლევს მოსვენებასო.
მე კი—მესტვირე კარ და კარ
ჩაუვლი ერთობ ყველასო,
გადაგვარებულ ღამურებს
აუტეხ ხათაბალასო.
მწვანე მდელოში ტანგოით
ემგზავსი მოჩვენებასო
ოთხმოცი წლისა ბებრებსაც
აგიშლის ჟინურ ვნებასო.
ჩაპუდრებული პირითა
ჩასწითლებია ტუჩები

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ სახრჩობელა მელოდეს
მიხვალ და ჩაეხუტები.
საწყალი მათი ქმრები კი
სახლშია დანახუთები
ცოლს საზაფხულოდ აგზავნის
დასცალა ფულის ყუთები.
აწი დრო არის ლახტითა
გასტინცებს მიადგებოდე,
ენა ტაინია მსახურებს
ოთახში შეეჭრებოდე;
ლახტის წვერები აცხუნო,
თვით კი სიცილით კვდებოდე,
ხორცით ვაჭრობა უარყონ,
ამასაც ეუბნებოდე.
გამრიგე ვაჟბატონებსა
რისხვით თავს წაადგებოდე
და სარევიზიოთ მათ ბინას
მალი მალ ევლინებოდე!*)

გიგო ჯიქია.

შვილი გამიპლუტდა

(სცენა)

პირველი ივანობის თვე დადგა და ჩემი კაცობაც გეიყო შვაზე. დედავ, რეიზა არ ამომძვრა სული მაშინ, როცა მე, აი ჩემი შვილის სტავლა რო გევიფიქრე!

ერთი ვაჟიშვილი გამიჩდა ჩემდა საუბედუროდ; დედა, დედა, რავაც გამახსენდება მაგის გაჩენის დღეი, მაგის გაჩენას ერთი ლეკვი გამჩენოდა არ მერჩია თუ? ზოგი ერთები ოთხ-ხუთ შვილებს ათებიებენ კლასს და მე ერთი კაკალი ბალანეი მყავს თვალის სინათლე, და მაგი რავა არ უნდა მყავდეს კლასში! ცოლმაც მტლუზა ცხვირში ჭლიქვინი, კლასი თუ არ გამოვარონიეთ, ასთე რავა უნდა უყურყუტოთო. მეც ქე ავი. წეწე. იმას ამოუფორიაქდეს მაჭანკალი; გავაფარგულე მიწა, ხარი, მარჩენალი ძროხა, მოხიკე ამფერათ ფარა და გავაგზავნე ქუთაისის კლასში. გეიარა ერთმა წელიწადმა, მეიწერა დავრჩიო, ვერ გადავედიო. მიორე წელიწადს კიდო მეიწერა ვერ გადავედიო. დედავ, ნუ გადაგარონია თავარ-ანგელოზმა! რამ გაგყინა, მაი ერთი სკამზე, გვირგვინი ხომ არ გიფსკვნია თქვა. შეუთვალე მესამე წელიწადს ჩამობძანდა მარა, რაფერ იცი? ცხვირ ბუკიანი ფეხსაცმელით, კალათი ნახევარი სიმინდი ჩევიდოდა იმფერი შარვლით, მიჭმუჭილ-მოჭმუჭული ქუდით, მიუტყებია კეცი ჭადის ხელა ზინაკი და გამომეცხადდა ხატივით.

მივშპი მაშინვე: ხომ არ ამომიტლურცე შვილო კერიეი კიდო თქვა? ჩამოკუპრა ცხვირი ინდოურივით. მაწამსვე შევატყვე, რომ ჩამოშრიტა თვალები! დავიპრწკინე და დავიპრკინე გაკუჭებისგან! მერ ვტკლიცე და ვტკლიცე გადაპროშტნის ნაცვლათ. ამფერათ ამოვბუგდი ტლინკი კაცი! არ დამიტოვებია გოუქარებელი ჩემი ბარობაზე აფერი და ბოლოს ქე დამაფჩენია ხახა.

მაი თურმე ძლაბებს ეკუნტრუშებოდა იქინეი და რას ისტავლიდა! რაცხა ნათქვამი როშაა! თურმე მამა უჩიოდა შვილს: ივარგე შვილო, ივარგეკო. შვილი უჩიოდა: არ ვივარგებ, არ ვივარგებ ჯინიზაო. ისთე დაგემართა შეენც? არ ისტავლეე? აპა მიყურე ჰა... გიყიდი ექვსი აბაზიან თოხს და იმდენს გაბაყუნებიებ რომე, ლობეზე გადასაკიდებლად გახთე.

ახლა სულ თელი ამფერი მოწაფეებს გირჩევთ ძლაბებთან კუნტრუშს თავი ანებოთ და თქვენ-თქვენ საქმეს დუუგდოთ ყური, თუ არა ექვსი აბაზიანი თოხი ბზათაა.

ა. ძაძამია.

*) თორემ რასა ჰგავს, სახლში ქმარს
სიცხით ამოსდის სულია
ერთი გაგზავნა სადაჩოთ
ბრუნდება ხუთ სულია.
სიტყვა ვერ უთქვამს სირცხვილით
მის ბალში ამოსულია
უცხუნე ლახტი, უცხუნე
რომ დაუამო წყლულია. **ლახტოსანი.**

პითხვეგის ახსნა

კითხვა 1) რომელი მცნება არის ჩვენში დაურღვეველი?

პასუხი: მეხუთე მცნება: პატივისცემა მოამაგე პირებისა.

კით. 2) ვინ მოიგონა ქართული ან-ბანი და რომელ წელში?

პას. აშორდიამ ეოსტროგოვის დროს, წელიწადი არ მახსოვს.

კით. 3) რა არის ქართველის დაუძინებელი მტერი.

პას. სამშობლოს სიყვარული.

კით. 4) ვინ იყო პირველი მგოსანი საქართველოში?

პას. ან მე, ან შენ.

კით. 5) რა არის ულამაზესი საქართველოში?

პას. ის ადგილები სადაც დღეს ქართველები ადარ სცხოვრობენ და უცხოელ გადმოსახლებულთა კოლონიებია გაშენებული.

კით 6) რა არის ყველაზე უმახინჯესი?

პას. ბუნება და მდებარეობა.

კით. 7) ახალგაზრდა მგოსნებში პირველობას ვის აკუთვნებენ?

პას. ეხლა კი ცოტა უნდა შევჩერდე, რადგან ძალიან ბევრნი არიან პირველობის ღირსნი, მაგრამ ყველაზე კარგნი მაინც შემდეგი პირნი არიან: კირილე, ხეხუაშვილი, ლაბა და თქვენი მონა მორჩილი სეფეს-სეფული. თავის ქება კიტრათ ღირსო მაგრამ რა ვქნა სიმართლეს ვერ დავფარავ. **სეფეს-სეფული.**

დ ე კ ე ბ ა

ვუშინ წინ ავლაბარში მურაშკოს თეატრთან მოხდა ავაზაკების მიერ უიარაღო თავდასხმა ავლაბრის სახ. წარ. მმართველ წრის თავმჯდომარე თ. ნასიძეზე, რომელიც თურმე მოდიოდა ვერის ახალ პარკიდან, სადაც ბ. ნასიძე ხსენებულ წრის მიერ გამართულ სეირნობას ხელმძღვანელობდა და მთელი სეირნობის შემოსავალი ფული ზედა ჰქონდა. თავდამსხმელებმა ბ-ნ ნასიძეს მარჯვენა ჯიბეში ვერაფერი უპოვეს, ხოლო მარცხენა ჯიბისთვის ხელი არ უხლიათ და უკვალოდ მიიმალნენ. ნასიძეს მალე მიეშველა წრის ერთი გამგეობის წევრი გ. ბასილაშვილი, მაგრამ გვიან იყო. ამბობენ რომ თ. ნასიძემ იცნო ავაზაკების სახე, მაგრამ შიშით ჯერ-ჯერობით ვერ ამჟღავნებსო. **დ. მელია.**

მოკლე კითხვები

(ს. კულაშვილისთვის.)

1) ის რომელი გლეხები არიან, რომ ამას წინეთ ჩვენს მეზობლათ ქალი მოკვდა, იტირეს, მაგრამ ცრემლები კი არ სდიოდათ. ხალხი ბევრი დაესწრო, გაიმართა ლხინი და ქეიფი, შემდეგ ამას მოჰყვა მუშტიკრივი, რაშიაც ორი გლეხი ძალიან დაშავდა: მეორე დღეს ცოლ-შვილს ეკითხებოდნენ: გუშინ ქორწილში ვიყავით თუ ტირილშიო?..

2) ის რა ხალხია, რომ ორ სართულათ გამოიყრება, ზევითა სართულში თაგვები და ვირ-თხები ლექციებს უკითხავენ კულაშლებს სხვა და სხვა თემებზე, მაგ. ბიბლიოთეკის განახლებაზე და სხვა და სხვა სამეცნიერო დარგებზე?..

3) ის ორნი ახალგაზრდანი, ვინ არიან, ამას წინედ კარტის თამაშის დროს, ერთი-მეორესთან შეტაკება მოუვიდათ და ერთმა მეორეს ცხვირი ჩამოაცალა, მიზეზათ ის დაასახელა, რომ ცოტა გძელი იყო და დამოკლება სჭირდებოდაო?..

(სამტრედიისათვის).

1) ის ვინ არის, ამას წინეთ, რომ უგზო-უკვლოდ დაიკარგა;ქერა ახალ გაზრდა, ჩოხაში გამოწყობილი ყმაწვილი, და შემდეგ მეცირკეების ცხენების საჯინიბოში აღმოაჩინეს?..

2) აბა მითხარით, ის ორნი პირნი ვინ არიან, ერთი მაღალი და ერთი დაბალი, რომელნიც ერთს დღეს ნუნუათი გალეშილნი ცირკში შევარდნენ და სულ ააფორიაქეს იქაურობა, რომ ბოქაულმა ვერ შესძლო წესიერების აღდგენა?..

3) ის სამნი გვამნი ვინ არიან, ერთი ბატივით ყოყლოჩინაა, მეორე—ამპარტავანი, ტროსტით ხელში, ხანდისხან ზურგს რომ შეათამაშებს ხოლმე. მესამ დიდ მუცელა, ჭკუა თხელა, ერთათ რომ დადიან, საზოგადო საქმეებში ეჩხირებიან, თუმცა ზიანის მეტი არა მოაქვთ რა საზოგადოებისთვის.

4) ის რომელი დამა კავალერი იყო, რომ ერთს კვირას სადგურზე სეირნობის დროს გული შეუწუხდა დამას, კავალერი კი იძახოდა: „ჰკა მაგასო?!!.

ვინც ყველა ამაებს გამაიცნობს და დედანთან სწორი იქნება, მას არ ასცდება თითო „ლახტი“ და აუსრულდება ნანატრი, რადგან ბევრი ნატრობს, ერთი მაჩვენა „ლახტოსანი“ რანაირი ეშმაკიაო.

შენც-ქე-იცი.

სიზმრის ახსნა

1) თუ სიზმარში გრიგოლეი დურმიშხანიჩი ნახოთ, მეორე დღეს ჯამს მოლოკავთ.

2) თუ „ბუ“ ნახოთ, ჯაბარს შეხვდებით.

3) „ნიგოითელი“ თუ გესიზმრათ, ხატისოვის ლაქიობას მიიღებთ.

4) თუ კონსტანტინე დასელი ნახეთ, ქვრივ-ობლების ფულს ჩაქანქრავთ.

5) მილოვი და როსინი თუ ნახოთ ერთად, ტრამვაიის გამოსყიდვა მოხდება.

6) თუ ქუთაისელი დასელი ნოქრები ნახოთ, ქიზიყელი ელიბოს პანტის ზარბაზანი გასქდება ფედერალისტების ასაფეთქებლად.

7) თუ პეტრე ნახოთ მამადავითის სასაფლაოზე საექსკურსიოდ წახვალთ.

8) თუ მიხეილ მზვერავი ნახოთ, ემიგრაცია მოგიხდებად „თემიდან“.

9) თუ ალ. ლანდია ნახოთ, სასწაული მოხდება, ყველა ტრამვაიის ვაგონები დატორმუზდება.

10) თუ ანტონი დაგესიზმრათ მოძრავი კიდობნით, ფშავ-ხევსურეთი დასარწმუნევდება.

11) თუ ხოდოკი ნახოთ დურბინდით, იმ ხანებში რომელიმე ქართველი მემამულე მიწა-წყალს გაჰყიდის.

13) იშხანიანი თუ ინახულოთ, შფოთიანი წელიწადი იქნება.

მუშა მექია.

ხაშურის ამბები

„ლახტის“ № 14-ში მოთავსებულმა ხაშურის ამბებმა, ძალიან გააცხარა ზოგიერთი იქ მოთავსებული პირნი; ეძებენ გამწარებული „ნიორს“, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერ მიაგნეს თუმცა ეჭვი ბევრზე აქვთ. რომ დანამდვილებით გაიგონ ვინც არის ეს მწარე „ნიორი“ დაუნიშნავთ ჯილდო. ვინც მიაგნებს, ჯილდოთ მიეცემა 2 გირვანქა "ხინა“, მიტომაც არის, რომ ხინით მოვაჭრე ყველაზე უფრო დარბის, რომ აღმოაჩინოს ეს ვიღაც „ნიორი“.

— მაშ მე ბიჭი არ ვიქნები თუ ტფილისში არ ჩავიდე და თვითონ რედაქტორისაგან არ გავიგო ვინც არისო. ნუ ცხარობთ ბატონებო, ეგ შესავალი იყო, ხაქმე აწი იქნება.

—

ხაშურის დრამატიულმა წრემ წლის განმავლობაში დადგა სულ 20 წარმოდგენა. ყველა წარმოდგენებმა საუცხოოდ ჩაიარა. წმინდა შემოსავალი დარჩა წრეს სულ 22530 მან. 12 კ. ეს ფულები ამნაირად გაანაწილეს: საკუთარი შენობის ასაგებად გადადვეს 10,000 მან. საუკეთესო არტისტების მოსაწვევად 1500 მან. ინვენტარის შესაძენად 1 მ. და 12 კაპ., ბენეფისებზე საჩუქრებისთვის 1000 მან. მხოლოდ 10,000 მისცეს ორ სცენის-მოყვარეს, რომელნიც უნდა გაიგზავნონ, კონსერვატორიაში, რადგანაც სიმღერაც საჭიროა სცენაზე.

—

8 ივნისს დიდი უბედურობა დატრიალდა დ. ხაშურში. ღამის ორ საათზე ცეცხლი გაუჩნდა რკინის გზის „კლუბს“ ეს ამბავი მოხდა იმ დროს, როდესაც ერთი წყება „ტანგოს“ ცეკვაობდნენ და მეორე კი ბანქოს თამაშობდნენ. ერთი ჯგუფი ინტელიგენტებისა, როგორც ქართველები ისე რუსები, ტირილით სკდებიან და უჩივიან ყველას, რალა გვეშველება სადღა ვითამაშოთ ამის შემდეგ ბანქო და კიდევ სხვაო. ყოველ დღე აუარებელი სამგლოვიარო დეპეშა მოდის ყოველ კუთხიდგან.

ნიორი.

პასუხი

(მათრახის“ კორეს. „ვაცარიაიუ“-ს.)

თუ რომ გამოცანის წერა
უბედურო არ იცოდი,
ერთხელ ჩემთვის მოგემართა
და უფასოდ გასწავლიდი.
შე საბრალო, ჯუჯა კაცი,
ვის ეხები აღარ იცი?

(ქონდრის კაცი გაიძვერა
მექრთამეა ის უვიცი.)
ნუ თუ მისთვის შურს იძიებ,
რომ არ ვინდობ მუქთა-ხორებს?
და შენსავით გაიძვერა,
რომ არ ვიცავ მექრთამეებს?
ვინ, ვინ იყო ის საბრალო,
რომ გასწავლა ანა-ბანა?
„მათრახს“ მინდა შევეკითხო
კიდევ თუ ჰყავს შენისთანა.
და თუ კი ყავს, წინ, წინ არის,
წინ წინ არის საქმე მისი,
და უსურვებ შემდეგშიაც
ყოლებოდეს შენი მსგავსი.
ერთი მითხარ ჭკუით ბეცო,
ვის გავლენის ქვეშა სწერე?
ან რა მოგცა იმ მექრთამემ
აბდა-უბდა რომ დასწერე?
ამით გინდა დამამცირო
აწ შელახო პიროვნება?
ამით გინდა ჩირქი მომცხო?
განა ეს კი შეგეძლება?
„ლახტოსანი“ რომ ახსენე
ნუ თუ მისთვის დაგიბეჭდეს,
რაც დაჯლაბნე—არ გაშინჯეს?
ვაი ამ დღეს, ვაი თქვენ დღეს!

სელოს-ძმა.

სუსხიანი ამგვეგი

✦ როგორც სარწმუნო წყაროებიდან შევიტყეთ „მათრახის“ გაიძვერა ფიქტიურს რედაქტორს თეოფილესა და ფაქტიურს რედაქტორს პოლიოს შუამდგომლობა აღუძრავთ სადაც ჯერ არს, რომ თავიანთი მყრალი „მათრახი“ გახადონ განსაკუთრებით ყოველგარ სიბინძურისა და სიმყრალის ორგანოთ. მაგალითად უნდა ემსახურებოდეს მაწანწალა ძაღლების თარეშს, ტფილისის უწმინდურების მილების გასუფთავებას და სხვა ამ გვარებს. რადგან ამ დღეებში, პირველი უწმინდურ მილში ჩაყურყუმელავებულა და აყროლებული „შრომის“ სტამბაში შეძუნძულებულა, ხოლო მეორე ქუჩა-ქუჩა წანწალით გაცოფებულა და პირიღან თურმე სულ ქაფებსა ჰყრის.

✦ როგორც ხმა დადის, „მათრახის“ თანამშრომელს ბოდიო იერეთელს ერთი ასადი ბიესა დაუწერია სახელად: „მატეუარა დრამატურგი და ასოთ-ამწყობი ქალი“. ამ ნიჭიერ დრამატურგს შინაარსი თვით თავის ცხოვრებიდან აუღია. ეს ბიესა „მათრახში“ დაბეჭდება.

წერილ! რედაქციას

ბ-ნო რედაქტორო! ნება მომეცით თქვენი ჟურნალ „ლახტის“ საშუალებით ბოდიში მოვიხადო ბ. „ოკიჭიბი“-ს წინაშე, რადგან ვერ უსრულებ მას თხოვნას და ვერ მივუვები მედიატორეო, რასაკვირველია, ჩემგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო.

კოტე იმნაძე.

გასართობი

„აზრი“, სულ აზრი, კვლავ აზრი, როდისღა განხორციელდეს?!.

„ფიქრი“ სულ ფიქრი, კვლავ ფიქრი მკონია გამიტიალდეს.

„შრომა“ სულ შრომა კვლავ შრომა, ვერ ვნახე დაგვირგვინება.

—

ამ ჩემ მოძმებთა ბანაკში, ვერ მოვსპე ურცხვი გინება.

—

საჭე შებრუნდა სხვა გვარად
იმსახურებენ რისხვასა
მომწიფდა, გვერდს ვერ აუართ
ტერიტორიის კითხვასა.

—

— რით შეიძლება სახელი მოიხვეჭოს ჩვენს დროში კაცმა?—მიჰმართა ერთმა მეორს.

— განა არ იცი ჩემო კარგო რითი? გამოეცი გაზეთი, თუ დიდი ხნით არა, რამდენიმე ნომერი მაინც, და ახალი ლექსიკონით გაზეთის საშუალებით ილანძღეთ, რამდენსაც კარგად და ბევრს გაილანძღებით იმდენად ამაღლდებით და საპატიო ალაგსაც დაიჭერთ.

—

— სიკო, აბა დათვალე რამდენი ვარსკვლავია:—შეეკითხა ერთი თავის ნაცნობს და თითი მაღლა გაუშვირა.

— მაგას რა დიდი გამოცნობა უნდა, იმდენია, რამდენიც საქართველოში პოეტია'..



კაცი: ქალბატონო! ნება მიბოძეთ [სააგარაკოდ მაღლა ამოვიდე.